

Circumstances provoking domestic violence: the problem of preventing revictimization and resocializing the perpetrator

 <https://doi.org/10.52340/26679434/H.12.5>

Vakhtangi Muradashvili

*PhD student of the Faculty of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
Affiliated Assistant of the Faculty of Law and International Relations at Georgian Technical University,
Georgia, Tbilisi*

Email: v.muradashvili@gmail.com

Vakhtangi Muradashvili

ABSTRACT

This study analyzes the contributing factors to domestic violence and their link to the problem of preventing revictimization and resocializing perpetrators. Violence is examined as a multifactorial phenomenon fueled by stress, alcohol, and drug addiction, as these factors diminish an individual's capacity for rational thought.

The paper also assesses the challenges created by deeply ingrained stereotypes and patriarchal approaches within society. It is notable, that the effective suppression of violence is seriously hampered by low citizen trust in law enforcement bodies and non-empathetic responses from police officers, which directly causes secondary victimization (revictimization) of survivors. Thus, revictimization prevention critically relies on the qualified and empathetic actions of law enforcement representatives.

Regarding perpetrator resocialization, while rehabilitation courses are legally mandated, the lack of a concrete action plan and the removal of the clause concerning rehabilitation for drug and alcohol dependence remain significant problems.

KEYWORDS: Crime, Crime Victim, Offender Rehabilitation, Drug Addiction, Stress, Alcoholism

შესავალი

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე სოციალურ და კრიმინოლოგიურ პრობლემას, რომლის ეფექტიანი აღკვეთა საჭიროებს ფართო ანალიზს. ძალადობრივი ქცევა იშვიათად არის განპირობებული ერთი ფაქტორით; იგი პროვოცირებულია კომპლექსური ფსიქო-სოციალური გარემოებებით. კერძოდ, სტრესი, ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებები განიხილება, როგორც ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები, ვინაიდან მათი ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უქვეითდება რაციონალური აზროვნების უნარი და უძნელდება საკუთარ ქმედებაზე ბატონობა.

ძალადობის ეფექტიან აღკვეთას აფერხებს როგორც ინსტიტუციური, ისე საზოგადოებრივი ფაქტორები. მოქალაქეთა ნდობის ხარისხი სამართალდამცავი ორგანოებისადმი მნიშვნელოვნად განაპირობებს მსხვერპლის მიმართვიანობასა და დახმარების მიღების სურვილს. ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიცია არაჯეროვნად რეაგირებს, გულგრილად ეკიდება საკითხს ან მსხვერპლს მოძალადესთან ურთიერთობის მოწესრიგებას ურჩევს. ეს გულგრილი დამოკიდებულება პირდაპირ იწვევს ძალადობის მსხვერპლთა მეორად ვიქტიმიზაციას. ამ ინსტიტუციურ ბარიერებს ამდაფრებს საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპული აზროვნება და პატრიარქალური მიდგომები, რომლებიც ოჯახში ძალადობას ძალზე პირადულ და არასაჯარო საკითხად მიიჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო მექანიზმები არსებობს, ნაკლები ყურადღება ეთმობა ძალადობის შემდგომ კრიტიკულ ფაზებსა და სისტემურ პრევენციას. წინამდებარე კვლევის მთავარი მიზანია ამ ხარვეზის შევსება და ძალადობის პრევენ-

ციის პრობლემის ანალიზი ორი უმნიშვნელოვანესი ასპექტის ფონზე: მსხვერპლის რევიქტიმიზაციის თავიდან აცილება და მოძალადის ეფექტური რესოციალიზაცია. მნიშვნელოვანია შევაფასოთ, თუ რამდენად ეფექტურია არსებული სამართლებრივი მექანიზმები ამ ორ პრობლემასთან ბრძოლაში და რამდენად არის დამოკიდებული მსხვერპლის რევიქტიმიზაცია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა კვალიფიციურ მოქმედებაზე.

1. სტრესი, ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, როგორც ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები

ადამიანის ცხოვრება შედგება დადებითი და უარყოფითი ემოციებისგან. თუმცა, ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ უარყოფითი განცდები უფრო ღრმა და გრძელვადიან კვალს ტოვებს მასზე, ვიდრე დადებითი. შესაბამისად, დაგროვებული ნეგატიური ასპექტები გამოიხატება პიროვნების დაძაბულობაში, დეპრესიასა და სიბრაზეში, რაც აძლიერებს პიროვნების სტრესს. სტრესულ მოვლენას ადამიანი ყოველდღიურად აწყდება, იქნება ეს ოჯახი, სამსახური, მეგობრები თუ უბრალოდ გარესამყარო. შესაბამისად, ზოგიერთ ინდივიდს შეუძლია საკუთარი სტრესის მართვა, ზოგს კი არა. „სტრესული მოვლენები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, დაძაბულობას ქმნის ოჯახში, რომელსაც შესაბამისი რეაგირება სჭირდება“.¹ ოჯახში სტრესული ვითარება შესაძლოა გამოიწვიოს უკიდურესმა სიღარიბემ, პარტნიორთან/მეუღლესთან უთანხმოებამ, დაძაბულმა სამუშაო დღემ, წარუმატებლობამ და სხვა. აღსანიშნავია,

1 McCubbin, H. I. and others, 1983. Social Stress and The Family: Advances and developments in Family Stress Theory and Research. New York: The Haworth Press. გვ.9.

რომ „დაბალმა სოციოეკონომიკურმა სტატუსმა და სოციალურმა პრობლემებმა შესაძლოა გაზარდოს სტრესის დონე, რაც თავის მხრივ ზრდის ძალადობის რისკს.“² თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სტრესი არ წარმოადგენს ოჯახში ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორს, არამედ ის არის ჩადენილი უმართლობის გამართლების მცდელობა.³ ერთი მხრივ, აღნიშნულ მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი, ვინაიდან ადამიანი ყოველთვის ცდილობს უარყოს საკუთარი ბრალეულობა და ის სხვა რამეს ან ვინმეს გადააბრალოს. თუმცა, მეორე მხრივ, უგულებელყოფილია ადამიანის ქცევის ცვალებადობა, რომელიც გამოწვეულია გარესამყაროს გავლენით.

სტრესის გარდა, მნიშვნელოვანია განვიხილოთ ალკოჰოლისა და ნარკოტიკის გავლენა ოჯახში ძალადობაზე. „ნარკომანთა და ალკოჰოლიზმით დაავადებულ ადამიანთა 90% ოჯახში მოძალადეა. ზოგადად, დისჰარმონიული და დისფუნქციური ოჯახები ძალიან მოწყვლადია ამ დანაშაულის მიმართ.“⁴ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნარკოდამოკიდებულ პირთათვის „[...]ფასეულობათა ორიენტაციის სისტემაში ოჯახი მაინცდამაინც წინა პლანზე არ დგას.“⁵ თუმცა ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ „ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე დამოკიდებულება დაკავშირებულია ოჯახში ძალადობასთან, მაგრამ იგი არაა ძალადობის გამომწვევი ფაქტორი, ვინაიდან ყველა, ვინც სვამს,

არ ძალადობს მეუღლეზე და უმეტესობა მოძალადეებისა არაა ალკოჰოლზე დამოკიდებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ალკოჰოლი და ნარკოტიკი ზრდის ძალადობის შანსს, ვინაიდან მოძალადე ექვევა ამა თუ იმ სუბსტანციის ზემოქმედების ქვეშ, უქვეითდება რაციონალური აზროვნების უნარი და უძნელდება საკუთარ ქმედებაზე ბატონობა. გარდა ამისა, მოძალადემ ზემოქმედების ქვეშ ყოფნა გამამართლებელ საბუთადაც კი შეიძლება გამოიყენოს და თქვას, რომ იგი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და არ იცოდა, თუ რას აკეთებდა.“⁶ ვერ დავეთანხმები აღნიშნულ აზრს, რომ ალკოჰოლიზმი და ნარკომანია არაა ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორი და რომ ის ჩადენილი უმართლობის გამართლების საშუალებაა. სისხლის სამართალში ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობა, ჩადენილი უმართლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს და ქმედების ამსრულებელს უმძიმებს პასუხისმგებლობას და არა – პირიქით. ყველაზე ხშირად სწორედ აღნიშნული პირები ხდებიან ოჯახში მოძალადეები, რასაც ადასტურებს არაერთი კვლევა და სასამართლო პრაქტიკაც. სწორედ აღნიშნული გახდა საფუძველი იმისა, რომ 2015 წლის პირველ ივლისს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლში გათვალისწინებული იყო მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიე-

2 Jackson, N., A., 2007. Encyclopedia of Domestic Violence. New York, London: Routledge, გვ. 572.

3 შეადარე. Newman, Willis, C. and Newman, E., 2010. Domestic Violence: Causes and Cures and Anger Management. Tacoma, WA, USA, გვ.11.

4 კაზე, ჰ., 2011. ხმა მდუმარეთა. თბილისი: პეტეტი, გვ.218.

5 ჯანაშია, ჯ. და ბეროზაშვილი, ზ., 2022. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია. კრიმინოლოგი, 1(16), გვ.132.

6 Newman, W., C. and Newman, E., 2010. Domestic Violence: Causes and Cures and Anger Management. Tacoma, WA, USA, გვ.11.

ბები⁷, რომლებიც მოიცავდა ნარკოტიკსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციას. თუმცა აღნიშნული მუხლიდან გაურკვეველი მიზეზით ამოიღეს ეს დანაწესი და ის ჩამოყალიბდა დღეს მოქმედი რედაქციის სახით. არადა, „საჭიროა მუდმივად სწრაფვა, რათა სახელმწიფოებმა იპოვონ საერთო მიდგომა ნარკოტიკების მოხმარების საწინააღმდეგო სტრატეგიებში, იყვნენ უკომპრომისო მისი უკანონო წარმოების და გავრცელების საკითხებში.“⁸

სწორედ ნარკოპროდუქტების მზარდ გავრცელებასა და მასზე მარტივ მიწოდება/მოხმარების პრობლემას და საზოგადოების ჯანმრთელობის უსაფრთხოების სერიოზულ რისკებს უსვამს ხაზს 2025 წლის ევროპული ანგარიში ნარკოტიკულ საშუალებების შესახებ.⁹ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია კი ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის პროგრამების ეფექტურობას ანიჭებს უპირატესობას, როდესაც ისინი პასუხობენ საზოგადოების საჭიროებებს, მოიცავენ ყველა შესაბამის სექტორს, ეფუძნებიან სამეცნიერო მტკიცებულებებს, მონიტორინგსა და შეფასების ძლიერ კომპონენტებს.¹⁰

„ოჯახში ძალადობა ბევრ შემთხვევაში ტრაგედიაა არა მხოლოდ მსხვერპლისათვის, არამედ მოძალადისათვისაც. ძალადობა ხშირად დაკავშირებულია ალკოჰოლთან, სიღარიბესთან, პირად იმედგაცრუებასთან, ოჯახურ პრობლემებთან ან ჯანმრთელობის პრობლემასთან. ეს კი აუცილებელს ხდის მოძალადეთათვის სოციალური დახმარებისა და მკურნალობის პროგრამების ამოქმედებას. აუცილებელია მოძალადეთა სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით“.¹¹

2. მოქალაქეთა დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისადმი ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მიმართვიანობის თვალსაზრისით

ოჯახში ძალადობის კუთხით უმნიშვნელოვანესია სამოქალაქო საზოგადოების დამოკიდებულება სამართალდამცავ

7 დაწვრილებით იხ. და შეად. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი 01.05.2015 წლის მდგომარეობით და ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონი 02.04.2025 წლის მდგომარეობით.

8 ჯანაშია, ჯ., 2025. ნარკოტიკების მოხმარების სიტუაციური ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო დონეზე – მისი ზეგავლენა თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე. სოციოპოლიტოლოგოს, ტომი 2, გვ.247. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://journals.4science.ge/index.php/sociopolitologos/article/view/3985/4031>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

9 შეადარე. ევროპული ანგარიში ნარკოტიკების შესახებ, ტენდენციები და განვითარება 2025. გვ.11. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <httpss://www.euda.europa.eu/publications/european-drug-report/2025_en> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

10 შეადარე. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი. (შესავალში). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unodc.org/unodc/en/prevention/>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

11 ბერიძე, ი., 2012. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი. ქალთა საინფორმაციო ცენტრი, გვ. 9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/ojaxshio-zaladobis-kanonmdebloba.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

ვიორგანოების წარმომადგენლებისადმი. ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად განაპირობებს, როგორც თავად მსხვერპლის სურვილს, განაცხადოს ძალადობის შესახებ და მიიღოს შესაბამისი დახმარება, აგრეთვე ოჯახში ძალადობის ყოველი კონკრეტული შემთხვევის ყოველმხრივ სრულყოფილ შესწავლასა და სათანადო რეაგირებისათვის მსხვერპლისა და მის გარშემო მყოფ პირთა ჩართულობას, რაც პირდაპირპროპორციულად აისახება ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელსა და ძალადობასთან ბრძოლის ეფექტურობაზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ პოლიციის თანამშრომლები არიან ის პირები, რომელთაც ყოველდღიური შეხება აქვთ სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ უწევთ ოჯახში ძალადობის შემთხვევის ადგილას მისვლა და უშუალო კონტაქტის დამყარება კონფლიქტში მონაწილე პირებთან. იმისათვის, რომ პოლიციის რეაგირება იყოს ეფექტური, სასიცოცხლოდ აუცილებელია ზემოაღნიშნულ პირთა ნდობის მოპოვება, რაც საკმაოდ რთული პროცესია, მითუმეტეს საქართველოში, სადაც ნებისმიერი პრობლემის მოგვარების საშუალებად ძალადობა მისაღებ ფორმად ითვლება და სამართლის თვითიუსტიციის იდეა ღრმადაა გამჯდარი ქართულ საზოგადოებაში. ყოველივე აღნიშნული კი უარყოფითად აისახება საზოგადოების პოლიციასთან თანამშრომლობაზე, რაც ისევ და ისევ ართულებს ოჯახში ძალადობის გამოვლენასა და აღკვეთას. გარდა

საზოგადოებაში ნდობის მოპოვებისა, უმნიშვნელოვანესია თავად პოლიციის თანამშრომლების დამოკიდებულება და მიდგომა ძალადობის მსხვერპლთა მიმართ. მნიშვნელოვანია, პოლიციის თითოეულმა თანამშრომელმა გამოსატოს ემპათია მსხვერპლის მიმართ, შექმნას სათანადო გარემო, სადაც მსხვერპლი თავს დაცულად და მშვიდად იგრძნობს, ასევე აღმოუჩინოს სათანადო დახმარება. მიუხედავად არაერთი წინ გადადგმული ნაბიჯისა, ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პოლიცია სათანადო რეაგირების გარეშე ტოვებდა მსხვერპლის მოთხოვნებს, გულგრილად ეკიდებოდა საკითხს ან ითავსებდა მრჩევლის როლს და მსხვერპლებს დაჟინებით ურჩევდა მოძალადესთან ურთიერთობის მოწესრიგებას.¹² „ამ კუთხით გაცილებით რთული ვითარება შეინიშნებოდა რეგიონებში, სადაც პირადი კავშირების გამოყენებით, მოძალადეები ახერხებდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისაგან ლოიალური დამოკიდებულების მოპოვებას და ოჯახში ძალადობის მძიმე შემთხვევებშიც კი, ეს უკანასკნელნი, ხშირად მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლებოდნენ“.¹³ „ძალადობის მსხვერპლებისადმი სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა გულგრილი დამოკიდებულება პირდაპირ იწვევს ძალადობის მსხვერპლთა მეორად ვიქტიმიზაციას, რაც მათ დაუცველობის განცდას ერთიორად ზრდის“.¹⁴ აღსანიშნავია, რომ პოლიციელების მხრიდან ძალადობის მსხვერპლთა მიმართ

12 შეადარე. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში. გვ.49. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2015/geo%203.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

13 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში. გვ.27. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2019041111594648023.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

14 იქვე. გვ.27.

შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე არსებულ ფაქტებს შსს-ის გენერალური ინსპექცია შეისწავლის, თუმცა დისციპლინური გადაცდომის დადასტურება, უმეტესად გართულებულია. მაგალითად, 2019 წლის მონაცემებით გენერალურ ინსპექციაში ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით შესულია 104 საჩივარი. აქედან 42 პოლიციელთა მხრიდან ოჯახში ძალადობის ფაქტს ეხებოდა და 42-ვე შემთხვევაში თანამშრომელს განესაზღვრა დისციპლინური სახდელი, ხოლო 62 საჩივარი პოლიციის მხრიდან ოჯახში ძალადობაზე არაჯეროვან რეაგირებას, რომელთაგან 21 შემთხვევაში განისაზღვრა დისციპლინური სახდელი.¹⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია საზოგადოებასა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, კვალიფიციური და საკმარისი კადრების არსებობა, აქტიური საინფორმაციო კამპანიის ჩატარება პოლიციის პოპულარიზაციის კუთხითა და საზოგადოების ინფორმირებულობის ასამაღლებლად.

3. სტერეოტიპები და მათი დამლუჯველი ეფექტი

„სტერეოტიპების შექმნა ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელია. ეს არის ის გზა, რომლის მეშვეობითაც ადამიანების გარკვეული კატეგორიებისთვის და ჯგუფებისთვის მიკუთვნებას ვახორციელებთ, რასაც ხშირად ქვეცნობიერად ვაკეთებთ, ნაწილობრივ იმისთვის, რომ ჩვენ გარშემო არსებული სამყარო უფრო მარტივად წარმოვაჩინოთ“.¹⁶ ერთი მხრივ, ძალადობის პროვოცირებას იწვევს თითოეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი კულტურული, ისტორიული, ტრადიციული და რელიგიური ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ სოციალურ როლს ანიჭებენ ადამიანებს სქესის მიხედვით. ხოლო, მეორე მხრივ, ართულებს ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენას, აღკვეთასა და პრევენციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თავად სახელმწიფოს როლი და ჩართულობა სტერეოტიპული აზროვნების შეცვლასა და მათ აღმოფხვრაში, რომლებიც ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორებად გვევლინება. თავის მხრივ, აღნიშნული მიიღწევა სახელმწიფო ორგანოების აქტიური მუშაობით საზოგადოებასთან და მამაკაცების აქტიური ჩართულობით ამ პროცეს-

15 შუადარე. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2019. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. გვ.199. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

16 ესტერი, მ. და ლილეი, ს.ჯ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი, დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ასპექტებზე. ევროპის საბჭო, გვ.17. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/-12-/16808d24c2>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

ში.¹⁷ უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს აქტიური მოქმედება არსებული მცდარი შეხედულებების აღმოსაფხვრელად ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, სადაც სტერეოტიპული აზროვნება დრმადაა გამჭდარი საზოგადოებაში და გენდერული კუთხით უთანასწორობა ტოლერანტობით სარგებლობს. ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არსებულ მწვავე სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე მიუთითებს სახალხო დამცველი თავის ანგარიშში, მაგალითად, 2017 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ „სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა სტერეოტიპული დამოკიდებულებები ძალადობის მსხვერპლთა მდგომარეობაზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს. ისინი ხშირად იკიცხებიან სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვის გამო, დამცინავად ან დამაკნინებლად ექცვიან ან მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს სერიოზულად არ აღიქვამენ“.¹⁸ აღნიშნულიდან გამომდინარე, რთული წარმოსადგენი არ უნდა იყოს განსახილველი საკითხის პრობლემურობა. ამ კუთხით საინტერესოა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ „ოჯახში ძალადობასთან ეფექტურ ბრძოლას აფე-

რებს საზოგადოებაში არსებული პატრიარქალური მიდგომები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს და თავად ოჯახში ძალადობა ძალზე პირადულ და არასაჯარო საკითხად მიიჩნევა“.¹⁹

სტერეოტიპულ დამოკიდებულებებთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულებასთან მიმართებით უმნიშვნელოვანესია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია.²⁰ რომელიც მყარად ეფუძნება იმ მიდგომას, რომ გენდერული უთანასწორობა ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზს და იმავდროულად შედეგს წარმოადგენს. კონვენციაში ცალკე თავი ეთმობა პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შეჩერებაზე გენდერული თანასწორობის მიღწევის გზით. კერძოდ, კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად, რათა აღმოიფხვრას ის სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რომლებიც ხელს

17 შეადარე. Harvey, A., García-Moreno, C. and Butchart, A.R., 2007. Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence: Background paper for WHO expert meeting May 2–3. WHO, Department of Violence and Injury Prevention and Disability, გვ.24. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ndhealth.gov/injury/nd_prevention_tool_kit/docs/who-primary-prevention-of-intimate-partner-violence-and-sexual-violence.pdf> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

18 გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში. გვ.28. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/201904111594648023.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

19 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე N1/2533-17).

20 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

უწყობენ სქესთა შორის დაპირისპირებას, მათი სოციალური როლიდან გამომდინარე. კონვენციის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი და 42-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ავალდებულებს მხარეებს არ გამოიყენონ ძალადობის გასამართლებელ მიზნად ზემოქმედებითი გარემოებები. თავისი არსით უმნიშვნელოვანესია ამავე მუხლის მე-4 პუნქტის დანაწესი, რომელიც ხაზს უსვამს მამაკაცთა და ბიჭების აქტიურ როლსა და ჩართულობას ძალადობის პრევენციის კუთხით, გენდერული როლების შესახებ წარმოდგენებისა და დამოკიდებულებების ტრანსფორმაციის საქმეში. კონვენცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, განახორციელოს ქალთა შესაძლებლობების გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებები. განსხვავებით, კონვენციის მე-12 მუხლისა, რომელიც პრევენციის ზოგად ღონისძიებებს შეეხება კონვენციის მომდევნო მე-13 – მე-16 მუხლებში, რომლებშიც უფრო კონკრეტული ვალდებულებებია ასახული და დეტალურადაა გაწერილი გარკვეული პრევენციული ზომები, მათ შორის ცნობიერების ამაღლება, განათლება, სპეციალისტების პროფესიული მომზადება და დამნაშავეს მკურნალობის პროგრამები. გარდა ზემოაღნიშნული კონვენციისა, მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის²¹ მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტიც, რომელიც ასევე შეეხება სა-

ხელმწიფოს ვალდებულებას ებრძოლოს გაბატონებულ სტერეოტიპებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს, საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობა სტერეოტიპული აზროვნების ტრანსფორმაციის საქმეში. მნიშვნელოვანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით საინფორმაციო კამპანიის წარმოება. ამ კუთხით მასმედიის როლი საზოგადოების შეხედულებების ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდია და ის სწორად უნდა იქნეს გამოყენებული, თუმცა და მუდიასაშუალებების მიერ სტერეოტიპების კვლავწარმოება დღესაც პრობლემურია.²²

4. მსხვერპლის რევიტიმისაციის თავიდან აცილება და მოძალადის რესოციალიზაცია

„პიროვნების პირველად ვიქტიმირებად ითვლება დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის მიმართ წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და მატერიალური ზიანი.“²³ მეორადი ე.წ. არაძირითადი ვიქტიმირება ხდება დაზარალებულთან ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ გაკეთებული განცხადებებით ან მორალური ხასიათის პრეტენზიების გამოთქმით.²⁴ ოჯახში ძალადობის კუთხით მეორადი ვიქტიმირება შესაძლოა გამოიწვიოს სა-

- 21 დაწვრილებით იხ. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს 1979 წლის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- 22 შეადარე. კურტანიძე, მ., აბრამიშვილი, ნ. და პატარაია, ბ., 2016. ფემიციდი – დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, კავშირი „საფარი“, გვ.11. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://h7.cl/1jFc4>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- 23 შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერიდიანი, გვ.32.
- 24 იქვე, გვ.33.

მართალდამცავი ორგანოების შეუსაბამო და არაემპათიურმა დამოკიდებულებამ მსხვერპლის მიმართ. აღნიშნული, ერთი მხრივ, მძიმე ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებს მსხვერპლს და ხდის მას გაცილებით მოწყვლადს. ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უშლის მსხვერპლსა და პოლიციას შორის ნდობის ჩამოყალიბებას, რაც ძალადობის გამოვლინების, აღკვეთისა და პრევენციისათვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მსხვერპლის რევიქტიმიზაცია შესაძლოა გამოიწვიოს არა მხოლოდ პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობამ, არამედ, ასევე სამართალწარმოების პროცესში ჩართული პირების (მაგ.: ადვოკატი, პროკურორი, მოსამართლე და სხვა.) შეუსაბამო დამოკიდებულებამ. ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენციის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს მსხვერპლის რევიქტიმიზაციის თავიდან აცილების საკითხს და ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ უზრუნველყოს ან გააუმჯობესოს იმ სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ურთიერთობა აქვთ ძალადობის მსხვერპლთან, რათა უკეთ განხორციელდეს ძალადობის გამოვლენა, პრევენცია და აღიკვეთოს მეორადი ვიქტიმიზაცია. ამავე კონვენციის მე-18 მუხლი კი, სახელმწიფოს ავალდებულებს მიიღოს ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომა, რათა დაიცვას მსხვერპლი ძალადობის შემდგომი აქტებისაგან. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობისა

და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელება. „ოჯახურ დანაშაულებზე დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას. დაზარალებულის პირველი დაკითხვა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი და დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. თავად სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსამართლემ კი უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზეწოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.“²⁵ აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლში 2019 წელს შესული ცვლილების²⁶ მიხედვით ოჯახში ძალადობის მსხვერპლს აქვს უფლება გაიაროს კონსულტაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან, ისარგებლოს სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და ისე მიიღოს გადაწყვეტილება ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ან ჩვენების მიცემაზე უარის თაობაზე.

რაც შეეხება, პიროვნების მესამედ ვიქტიმირებას, „აღნიშნულს ადგილი აქვს, როცა დანაშაულის მსხვერპლს, პირველადი და მეორადი ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა, რომ დაცული იქნება დანაშაულისაგან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან. იგი სა-

25 ჯუღელი, ნ. და ღვინჯილია, ე., 2017. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში. საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის სამსახური, გვ.68. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-ojaxshi-zaladobaze.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

26 ნაწილი 5, მუხლი 50, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (16.10.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=175>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

კუთარ თავს გარშემომყოფთა მსხვერპლად მიიჩნევს და არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა. ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთა რევიქტიმიზაცია კიდევ არის ახლო მომავალში მოსალოდნელი.”²⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვერპლის რევიქტიმიზაცია დამოკიდებულია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მოქმედებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ისინი იყვნენ კვალიფიციურები, ემპათიურები და მოტივირებულები, დაეხმარონ მსხვერპლს. წინააღმდეგ შემთხვევაში მსხვერპლის რევიქტიმიზაცია პრაქტიკულად გარდაუვალია.

მოძალადის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია იყოფა ორ ეტაპად, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა და პირის მსჯავრდების პირობებში. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მოძალადის რეაბილიტაცია უმნიშვნელოვანესია, ვინაიდან ამ დროს მის მიმართ არ გამოიყენება პასუხისმგებლობის მკაცრი ღონისძიებები, რაც პირის რეაბილიტაციას შედარებით მარტივს ხდის. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე, მოძალადის რეაბილიტაციის საფუძველს წარმოადგენს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-10 მუხლის მე-7 პუნქტი. რომლის მიხედვითაც: „დამცავი ორდერი უნდა ითვალისწინებდეს მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას”. ხოლო აღნიშნული კანონის მე-20 მუხლი განმა-

რტავს მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართულ ღონისძიებებს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ეტაპზე მოძალადის რეაბილიტაცია მთლიანად სასამართლოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, თუმცადა სასურველია, რომ პოლიციის თანამშრომლებიც იღებდნენ მონაწილეობას მოძალადისათვის სათანადო კურსის შერჩევის პროცესში, ვინაიდან მათ უშუალო კონტაქტი აქვთ მოძალადესთან. ამასთან უკეთესი იქნება, თუკი აღნიშნული კურსის გავლის დაკისრების უფლებამოსილება სამართალდამცავ ორგანოების წარმომადგენლებსაც მიეცემათ, იქიდან გამომდინარე, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გაცილებით მეტი შემაკავებელი ორდერი გამოიცემა, ვიდრე დამცავი. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ კურსით გათვალისწინებული აქტივობები დაიგეგმოს და გაიწეროს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, მოძალადის პიროვნებისა და საჭიროების გათვალისწინებით და არ მოხდეს ყველა მოძალადისათვის ერთი და იმავე კურსის გავლა.

რაც შეეხება მსჯავრდებული მოძალადის რესოციალიზაციის საკითხს, აღსანიშნავია, რომ ოჯახური ძალადობისათვის კანონი აწესებს ორი სახის სასჯელს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასა და თავისუფლების აღკვეთას. თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსების ჩატარება. აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული იყო პატიმრობის კოდექსის 118-ე მუხლის მე-7 ნაწილით.²⁸ აღნიშნული დანაწესი უცვლელად

27 შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერიდიანი, გვ.33.

28 ნაწილი 7, მუხლი 118, საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი (15.12.2023 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/91612?publication=43>> [წვდომის თარიღი 11.11.2025]. (ძალადაკარგულია).

გადავიდა დღეს მოქმედ პენიტენციური კოდექსის 137-ე მუხლის მე-9 ნაწილში.²⁹ მსგავსი კურსის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა აგრეთვე დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ კანონის მე-40 პრიმა მუხლი.³⁰ 2011 წელს დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია და 2014 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168-ე პრიმა მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „ვ“ ქვეპუნქტი,³¹ რომელიც განრიდებულ პირს ავალდებულებს ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი, თუმცა დღემდე არ არის შემუშავებული მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც უპასუხებს ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომმა, რომელიც მიზნად ისახავდა ოჯახში ძალადობის მაპროვოციებელი გარემოებების კრიტიკულ ანალიზს რევიტტიმიზაციის პრევენციისა და მოძალადის რესოციალიზაციის პრობლემის ფონზე, გამოიკვეთა, რომ ოჯახში ძალადობა მულტიფაქტორული ფენომენია, რომლის პროვოცირებას

ხელს უწყობს სტრესი, ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებები. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრება, რომ სტრესი და დამოკიდებულებები ძალადობის გამართლების მცდელობაა, ფაქტია, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს უქვეითდება აზროვნების უნარი, რაც ზრდის ძალადობის შანსს.

გამოწვევას ქმნის ინსტიტუციური და საზოგადოებრივი ბარიერები. მოქალაქეთა დაბალი ნდობა სამართალდამცავი ორგანოებისადმი და პოლიციის თანამშრომელთა არაემპათიური დამოკიდებულება, ხშირად იწვევს ძალადობის მსხვერპლთა მეორად ვიქტიმიზაციას, რაც პრაქტიკულად გარდაუვალია, თუ სამართალდამცავი ორგანოები არ იქნებიან კვალიფიციურები. ამას ემატება საზოგადოებაში ღრმად გამჯდარი სტერეოტიპები და პატრიარქალური მიდგომები, რომლებიც ოჯახში ძალადობას არასაჯარო საკითხად მიიჩნევენ, აღნიშნული კი, ხელს უშლის ძალადობასთან ეფექტიან ბრძოლას.

რაც შეეხება პრევენციის პრობლემას, მოძალადეთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია კანონით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი წესით. თუმცა, პრობლემად რჩება ის, რომ 2015 წლის კანონიდან გაურკვეველი მიზეზით ამოიღეს ნარკოტიკსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირთა რეაბილიტაციის დანაწესი. გარდა ამისა, დღემდე არ არის შემუშავებული მოძალად-

29 ნაწილი 9, მუხლი 137, საქართველოს კანონი პენიტენციური კოდექსი (26.06.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=6#DOCUMENT:1;>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

30 მუხლი 40¹, საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ (16.10.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=41>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

31 ნაწილი 1, ქვეპუნქტი „ვ“, მუხლი 168¹, საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (16.10.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=175>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

დეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმა, რაც აფერხებს პოზიტიური სპეციალური პრევენციის რეალურ განხორციელებას.

უმნიშვნელოვანესია, სამართალდამცავთა კვალიფიკაციის ამაღლება და რევიტიმიზაციის პრევენცია: აუცილებელია მსხვერპლთან ურთიერთობის მქონე სპეციალისტების სავალდებულო და გენდერულად მგრძობიარე მომზადების უზრუნველყოფა (სტამბოლის კონვენციის მე-15 მუხლის შესაბამისად) და მსსს-

გენერალურმა ინსპექციამ უნდა გააძლიეროს რეაგირება პოლიციელთა მხრიდან არაჯეროვან მოქმედებებზე.

აუცილებელია, რესოციალიზაციის მექანიზმების გაუმჯობესება: საჭიროა მოძალადეთა რეაბილიტაციის სამოქმედო გეგმის შემუშავება. სასურველია, კურსით გათვალისწინებული აქტივობები დაიგეგმოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის, მოძალადის პიროვნებისა და საჭიროების გათვალისწინებით.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბერიძე, ი., 2012. ოჯახში ძალადობის სფეროში არსებული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის გენდერული ანალიზი. ქალთა საინფორმაციო ცენტრი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/ojaxshio-zaladobis-kanonmdebloba.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2017. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://ombudsman.ge/res/docs/2019041111594648023.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.unodc.org/unodc/en/prevention/>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- ევროპული ანგარიში ნარკოტიკების შესახებ, ტენდენციები და განვითარება 2025. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.euda.europa.eu/publications/european-drug-report/2025_en> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- ესტერი, მ. და ლილეი, ს.ჯ., 2014. ქალთა მიმართ ძალადობის პრევენცია: სტამბოლის კონვენციის მე-12 მუხლი, დოკუმენტების კრებული ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით განსაზღვრულ ასპექტებზე. ევროპის საბჭო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://rm.coe.int/-12-/16808d24c2>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- კაზე, ჰ., 2011. ხმა მდუმარეთა. თბილისი: პეტიტი.
- კურტანიძე, მ., აბრამიშვილი, ნ. და პატარაია, ბ., 2016. ფემიციდი – დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, კავშირი „საფარი“. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://h7.cl/1jFc4>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2019. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
- საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2015/geo%203.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].

10. შალიკაშვილი, მ., 2011. ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი: მერიდიანი.
 11. ჯანაშია, ჯ., 2025. ნარკოტიკების მოხმარების სიტუაციური ანალიზი ევროპულ და საერთაშორისო დონეზე – მისი ზეგავლენა თანამედროვე მსოფლიო წესრიგზე. სოციოპოლიტოლოგოს, ტომი 2. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://journals.4science.ge/index.php/sociopolitologos/article/view/3985/4031>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 12. ჯანაშია, ჯ. და ბეროზაშვილი, ზ., 2022. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის სუბიექტები და მიწოდების შემცირების სტრატეგია. კრიმინოლოგი, 1(16).
 13. ჯუღელი, ნ. და ღვინჯილია, ე., 2017. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში. საქართველოს უზენაესი სასამართლო, კვლევისა და ანალიზის სამსახური. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-oxaxshi-zaladobaze.pdf>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 14. Harvey, A., García-Moreno, C. and Butchart, A.R., 2007. Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence: Background paper for WHO expert meeting May 2–3. WHO, Department of Violence and Injury Prevention and Disability. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ndhealth.gov/injury/nd_prevention_tool_kit/docs/who-primary-prevention-of-intimate-partner-violence-and-sexual-violence.pdf> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 15. Jackson, N., A., 2007. Encyclopedia of Domestic Violence. New York, London: Routledge.
 16. McCubbin, H., I. and others, 1983. Social Stress and The Family: Advances and developments in Family Stress Theory and Research. New York: The Haworth Press.
 17. Newman, W., C. and Newman, E., 2010. Domestic Violence: Causes and Cures and Anger Management. Tacoma, WA, USA.
- ნორმატიული მასალა:**
1. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის 11 მაისის კონვენცია.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 2. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს 1979 წლის კონვენცია.[ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 3. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (16.10.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=175>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 4. საქართველოს კანონი პენიტენციური კოდექსი (26.06.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=6#DOCUMENT:1;>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 5. საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი (15.12.2023 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/document/view/91612?publication=43>> [წვდომის თარიღი 11.11.2025]. (ძალადაკარგულია).
 6. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (02.04.2025 წლის მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=25>> [წვდომის თარიღი 11.11.2025].
 7. საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ (01.05.2015 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=4>> [წვდომის თარიღი 11.11.2025]. (ძალადაკარგულია).
 8. საქართველოს კანონი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ (16.10.2025 მდგომარეობით). [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/>

<ka/document/view/21610?publication=41>
[წვდომის თარიღი 11.11.2025].

სასამართლო პრაქტიკა:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება (საქმე №1/2533-17).

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Beridze, I., 2012. Gender analysis of existing legislation and judicial practice in the field of domestic violence. Women's Information Center. [Online] available at: <<https://sapari.ge/wp-content/uploads/2016/05/ojaxshio-zaladobis-kanonmdebloba.pdf>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
2. United Nations Women's Organization, 2017. Monitoring Report on the 2016-2017 Action Plan on Measures to Combat Violence Against Women and Domestic Violence and Protect Victims (Affected). [Online] available at: <<https://ombudsman.ge/res/docs/2019041111594648023.pdf>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
3. United Nations Office on Drugs and Crime. [Online] available at: <<https://www.unodc.org/unodc/en/prevention/>> [Accessed 11.11.2025]. (in English)
4. European Drug Report 2025: Trends and Developments. [Online] available at: <https://www.euda.europa.eu/publications/european-drug-report/2025_en> [Accessed 11.11.2025]. (in English)
5. Esther, M. and Lilley, S.J., 2014. Preventing violence against women: Article 12 of the Istanbul Convention, a collection of documents on the aspects covered by the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence. Council of Europe. [Online] available at: <<https://rm.coe.int/-12-/16808d24c2>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
6. Kaze, H., 2011. The Voice of the Silent. Tbilisi: Petiti. (in Georgian)
7. Kurtanidze, M., Abramishvili, N. and Pataraia, B., 2016. Femicide – a discriminatory crime and the state's obligation to combat it, Union "Safari". [Online] available at: <<https://h7.cl/1jFc4>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
8. Report of the Public Defender of Georgia, 2019. On the state of protection of human rights and freedoms in Georgia. [Online] available at: <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
9. Special Report of the Public Defender of Georgia, 2015. Violence against women and domestic violence in Georgia. [Online] available at: <<https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2015/geo%203.pdf>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
10. Shalikhshvili, M., 2011. Victimology – The Science about Victim of a Crime. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
11. Janashia, J. 2025. Narcotics at the European and International Levels: Situational analysis of Drug Use and its Impact on the Modern World Order. SociopolitologOS, Volume 2. [Online] available at: <<https://journals.4science.ge/index.php/sociopolitologos/article/view/3985/4031>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
12. Janashia, J. and Berozashvili, Z., 2022. Subjects of illegal drug trafficking and supply reduction strategies. Criminologist, 1(16). (in Georgian)
13. Jugeli, N. and Ghvinjilia, E., 2017. Reflection of international standards in domestic violence cases. Supreme Court of Georgia, Research and Analysis Center. [Online] available at: <<https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-ojaxshi-zaladobaze.pdf>> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
14. Harvey, A., García-Moreno, C. and Butchart, A.R., 2007. Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence: Background paper for WHO expert meeting May 2–3. WHO, Department of Violence and Injury Prevention and Disability. [Online] available at: <https://www.ndhealth.gov/injury/nd_prevention_tool_kit/docs/who-primary-prevention-of-intimate-partner-violence-and-sexual-violence.pdf> [Accessed 11.11.2025]. (in English)
15. Jackson, Nicky, A., 2007. Encyclopedia of Do-

- mestic Violence. New York, London: Routledge. (in English)
16. McCubbin, Hamilton I., Sussman, Marvin B. and Patterson, Joan M., 1983. Social Stress and The Family: Advances and developments in Family Stress Theory and Research. New York: The Haworth Press. (in English)
 17. Newman, Willis, C. and Newman, E., 2010. Domestic Violence: Causes and Cures and Anger Management. Tacoma, WA, USA. (in English)

Normative Materials:

1. Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence of 11 May 2011. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/3789678?publication=0> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
2. United Nations Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women of 1979. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5691899?publication=0> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
3. Law of Georgia Criminal Procedure Code of Georgia as of 16.10.2025. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/90034?publication=175> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
4. Law of Georgia Penitentiary Code as of 26.06.2025. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6009420?publication=6#DOCUMENT:1;> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
5. Law of Georgia Imprisonment Code as of 15.12.2023. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/document/view/91612?publication=43> [Accessed 11.11. 2025]. (Out of force). (in Georgian)
6. Law of Georgia on the Prevention of Violence against Women and/or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence. As of 02.04.2025. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=25> [Accessed 11.11.2025]. (in Georgian)
7. Law of Georgia on Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence as of 01.05.2015. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=4> [Accessed 11.11.2025]. (Out of force). (in Georgian)
8. Law of Georgia Crime Prevention, Rules for the Execution of Non-custodial Sentences and Probation as of 16.10.2025. [Online] available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21610?publication=41> [Accessed 11.11. 2025]. (in Georgian)

Judicial Practice:

1. Decision of the Tbilisi City Court of July 5, 2017 (case №1/2533-17).